

იოსებ მეგრელიძე - ღვანლმოსილი მეცნიერი

(სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პედაგოგი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, იოსებ მეგრელიძე XX საუკუნის ქართველოლოგიური მეცნიერებების ცოცხალი მატრიანე და მდიდარი ბიოგრაფიის მქონე პიროვნება გახლდათ.

მის თვალწინ ჩაიარა წინა საუკუნის ქართველ მეცნიერ ფილოლოგთა და ისტორიკოსთა მთელმა პლეადამ, ვისაც კი მცირედი წვლილი მიუძღვის ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ფოლკლორისა და სხვა მომიჯნავე სამეცნიერო სფეროების განვითარებაში.

იგი აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო ფორუმებში და მისი ინიციატივით მრავალ მნიშვნელოვან საქმეს ჩაეყარა საფუძველი. იოსებ მეგრელიძის კალამს ეკუთვნის 30-ზე მეტი მონოგრაფიული ნაშრომი, მეცნიერულად მომზადებული და გამოცემული ტექსტები, სამეცნიერო სტატიები, რეცენზიები, საზოგადოებრივი პრობლემატიკის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილები. იოსებ მეგრელიძე ქართული და ქართველური, დადესტნურ-დიდოური ენების, რუსთველოლოგიის, ქართული მწერლობის, ქართული და კავკასიური ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიისა და ეპიგრაფიკის, არმენისტიკის საკითხების შესახებ გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი ნაშრომების ავტორია, რაც მისი ინტერესების ფართო თვალსაწიერზე მიუთითებს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შეუძლებელი იქნებოდა საფუძვლიანი განათლების შეძენისა და ღრმა ცოდნის გარეშე. მისი შრომები ქვეყნდებოდა ქართულ და რუსულ ენებზე, აგრეთვე, ნაშრომთა საკმაოდ დიდი ნაწილი ითარგმნა და გამოქვეყნდა ფრანგულ, აფხაზურ, სომხურ, უკრაინულ, ადიღეურ, ოსურ და სხვა ენებზე. მკვლევარი ყოველ საკითხს, ყოველ

პრობლემას სიღრმისეულად განიხილავდა, ფაქტობრივად, იგი მის წინამორბედ მეცნიერთა ტრადიციებს აგრძელებდა და ქართველოლოგიურ პრობლემატიკას იკვლევდა როგორც თითოეული დარგის სხვებთან კავშირში, ისე სხვა, მომიჯნავე, განსაკუთრებით, კავკასიოლოგიის სხვადასხვა დარგთან მიმართებით, რაც მის სამეცნიერო მემკვიდრეობას მეტ დამაჯერებლობას მატებდა და ღირებულებას სძენდა.

ამერიკის ბიბლიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ წიგნში პროფესორი იოსებ მეგრელიძე მსოფლიოს ხუთას მეცნიერთა შორისაა დასახელებული, ხოლო 1992 წელს, მაიკოპში გამართულ კავკასიოლოგთა ევროპული საზოგადოების VI საერთაშორისო კოლოქვიუმზე მას სამართლიანად უწოდეს „კავკასიოლოგიის პატრიარქი“.

იოსებ მეგრელიძე 1909 წლის 9 აპრილს დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში. მამამისი, ბართლომე გრიგოლის ძე მეგრელიძე, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იყო, რომელიც აჭარისა და ართვინის რეგიონებში არა ერთი სკოლის გახსნის მოთავე და ინიციატორი ყოფილა, აგრეთვე, დიდი წვლილი მიუძღოდა საინჟინო სკოლების დაარსება-განვითარებაში. კერძოდ, ცნობილია, რომ იგი საინჟინოში 1926-1929 წლებში მოღვაწეობდა და იქ 8 ქართულ, 2 რუსულ, 1 სომხურ და 1 ბერძნულ სკოლას ჩაუყარა საფუძველი. სრულიად ახალგაზრდა იოსებ მეგრელიძე, რომელიც 18 წლისა არც კი იყო, მამის კვალს გაჰყვა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესვლამდე ერთი წლის განმავლობაში მასწავლებლად მუშაობდა საინჟინოში, რომლის საგანმანათლებლო-პედაგოგიური საქმის მოსაგვარებლად მამამისი დიდად დაშვრა.

იოსებ მეგრელიძე ხიდისთავისა და ფოთის სასწავლებლების დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, რომელიც 1931 წელს წარჩინებით დაამთავრა და ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად ლენინგრადში (ამჟამად სანკტ-პეტერბურგი) გაგზავნეს. 1931-1935 წლებში

იგი მაშინდელი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ასპირანტი იყო. ლენინგრადში მასთან ერთად სხვადასხვა მეცნიერების სფეროს საფუძვლებს ეუფლებოდნენ შემდგომში აკადემიკოსები სერგი ჯიქია, შოთა ძიძიგური, გიორგი წერეთელი, ილია ვეკუა, ვიქტორ კუპრამე, პროფესორები: სერგი ჟღენტი, გიორგი ხარატიშვილი. XX საუკუნის 30-იან წლებში ლენინგრადის უნივერსიტეტის ქართველ ასპირანტებს ახალი თაობის «თერგდალეულებს» უწოდებდნენ. თითოეულმა მათგანმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული მეცნიერებისა და ზოგადად მეცნიერული აზროვნების განვითარებაში. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იოსებ მეგრელიძე ერთხანს რუსეთში, ლენინგრადში ცხოვრობდა და მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. იგი 1935-1939 წლებში იყო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ჯერ უმცროსი, ხოლო შემდეგ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

იოსებ მეგრელიძემ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომი ენათმეცნიერების სფეროში წარადგინა თემაზე: „ლაზური და მეგრული ფენები გურულში“ და 1935 წელს ლენინგრადში დაიცვა. ნაშრომში განხილული და შესწავლილი იყო ქართული და ქართველური ენების კილოებისა და კილოკავების ურთიერთობები და თავისებურებანი. მეცნიერული კვლევის შედეგად დაადგინა, რომ ქვემო იმერული კილო ძველი ენობრივი ფენებით მეგრულს უფრო უახლოვდებოდა, ხოლო გურული და აჭარული კილოები ლაზურთან სიახლოვეს ამჟღავნებდა. ამავე ნაშრომში აღნუსხული და განხილულია ამ მხარეების ტოპონიმები, რომელთა ეტიმოლოგიაა გაანალიზებული. მკვლევარმა ენათმეცნიერული საკითხები განიხილა შრომებში: „ძე-ზე დაბოლოებული გვარების ნათესაობითი ბრუნვა დასავლურ ქართულში“, „ქალთა გვარების დაბოლოება სამხრეთ კავკასიურ ენებსა და ფოლკლორში“, „უწყვეტლისა და მეორე კავშირებითის ადგილისათვის ქართული ზმნის დროთა სერიებში“ და სხვ. ენათმეცნიერული შრომებიდან საგანგებოდ უნდა გამოიყოს მონოგრაფია იაკობ გოგებაშვილის ქართული ენისადმი მიმართების

შესახებ: „იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა“. - თბ.: განათლება, 1988, რომელიც 234 გვერდისაგან შედგება და ორჯერ გამოიცა. მასში საფუძვლიანადაა წარმოჩენილი ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის ფასდაუდებელი ღვაწლი ქართული ენის დამკვიდრებაში სკოლებსა და ერის ცხოვრებაში, რადგან XIX საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივმა ცხოვრებამ და რუსეთის იმპერიის რუსიფიკატორულმა რეჟიმმა ღრმა კვალი დატოვა ქართველთა ცხოვრებაში. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ კავკასიოლოგები და ენათმეცნიერები იოსებ მეგრელიძის კავკასიოლოგიურ შრომებს ღირსეულად აფასებდნენ, რადგან იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც დაღესტნურ ენათა ჯგუფის, დიდოურისა და მასთან ახლოს მდგომი ენების მეცნიერული შესწავლა დაიწყო და იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა, ენათმეცნიერების განვითარებას ღრმა კვალი გაავლო.

ლენინგრადში სწავლის პერიოდში იოსებ მეგრელიძე დაუახლოვდა იქაურ მეცნიერებსა და ასპირანტებს. განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდა აკადემიკოს ნიკო მართან, რომლის ოჯახშიც ცხოვრობდა გარკვეული პერიოდი. იგი მარის სწავლული მდივანი იყო სამეცნიერო დარგში და მუშაობის პერიოდში მათ შორის მოწაფე-მასწავლებლის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა ჩამოყალიბდა, თავისი მასწავლებლის პატივისცემასა და სიყვარულს იოსებ მეგრელიძე სიცოცხლის ბოლომდე ერთგულობდა და გამოხატავდა. მან დიდი ამაგიც დასდო მას, შეისწავლა მისი არქივი, დაალაგა იქ არსებული გამოუქვეყნებელი მასალები, გამოსაცემად მოამზადა და 1938 წელს დაიბეჭდა ნიკო მარის ნაშრომი „აფხაზეთის ენის ისტორია“, ხოლო 1940 წელს გამოსცა მარის მიერ შედგენილი სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ნიკო მარს იგი 1902 წლის სამეცნიერო მივლინების დროს ჰქონდა შედგენილი, მაგრამ დიდ მეცნიერს გამოუცემელი დარჩა.

იოსებ მეგრელიძემ მონაწილეობა მიიღო იური მარის გამოუქვეყნებელი შრომების გამოცემაშიც. სხვადასხვა დროს ოთხჯერ გამოიცა მათი ერთობლივი ნაშრომი „სახელმძღვანელო ავტორებისა

და აღმოსავლური შრიფტების ასოთამწყობათავის“. ირანისტიკისა და ქართველოლოგიის პრობლემატიკის შესახებ იოსებ მეგრელიძემ 1980 წელს გამოაქვეყნა თავისი, იური მარისა და კონსტანტინ ჩაიკინის მიმოწერა, რომელიც 275 გვერდს მოიცავს.

რუსეთიდან დაბრუნებული იოსებ მეგრელიძე 1939-1942 წლებში მუშაობდა თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტად და ხელმძღვანელობდა ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული ენების კათედრას. პარალელურად ლექციებს კითხულობდა გორის, ცხინვალის, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში ქართულ და რუსულ განყოფილებებზე. ცხადია, ასეთი ინტენსიური სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, ადვილი არ იყო დედაქალაქიდან საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ლექციების წასაკითხად მგზავრობა, მაგრამ საქმის ერთგულება, სამშობლოს სიყვარული, ახალგაზრდების აღზრდის წყურვილი ამ მძიმე ყოფას უადვილებდა. მიუხედავად ასეთი თავდადებული და უანგარო შრომისა, 1942-1947 წლებში მოსკოვის «Осное совещание»-ს გადაწყვეტილებითა და დადგენილებით, იოსებ მეგრელიძე ქართველ მეცნიერებთან - მოსე გოგიბერიძესთან, მიხეილ ზანდუკელთან და სხვა ცნობილ მოღვაწეებთან ერთად ყაზახეთში გადასახლეს, ისინი იქ ე.წ. «თავისუფალი გადასახლებით» იმყოფებოდნენ. იოსებ მეგრელიძე ჩკალოვოს რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორად მუშაობდა, საშუალო სკოლაში რუსულ ენას, გეოგრაფიას, სსრკ ისტორიასა და კონსტიტუციას ასწავლიდა. 1947 წელს საქართველოში დაბრუნდა და ხელახლა შეუდგა მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობას გორის, ცხინვალის, თბილისის (აღ. პუშკინის სახ.) პედაგოგიურ ინსტიტუტებში, აგრეთვე, შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს.

იოსებ მეგრელიძე მრავალმხრივი მეცნიერი და მოღვაწე გახლდათ, რომლისთვისაც სამშობლოს ინტერესები ყველაფერზე მაღლა იდგა. იგი საქართველოს ინტერესებისათვის, ეროვნული სულის შენარჩუნებისათვის მებრძოლი პიროვნება იყო, რაც თავისი ქმედებებით არაერთხელ დაუმტკიცებია. 1939 წელს დაღესტანში

ყორდანის გათხრისას ძვ. წ. IV-III ათასწლეულის 50-მდე ბრინჯაოს ფიგურა აღმოაჩინა. ნივთები დაღესტნის ტერიტორიაზე იყო აღმოჩენილი და დაღესტნის მთავრობამ მისი დატოვება მოინდომა, ლენინგრადმაც მოითხოვა, რადგან ექსპედიცია ლენინგრადმა დააფინანსა. იოსებ მეგრელიძემ აღმოჩენილი ნივთები, როგორც ქართული კულტურის ექსპონატები, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს გადასცა.

გადასახლებიდან დაბრუნებული იოსებ მეგრელიძე 1948 წლიდან ლიახვის ხეობის სიძველეებს ეძებდა და იკვლევდა. მაშინ ძეგლებსა და საფლავის ქვებზე არც ერთი ოსური წარწერა არ არსებობდა, ყველა წარწერა ქართული იყო. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ წარწერებსა და საფლავებს, ციხე-ქალაქების ინფრასტრუქტურას ტაძრებთან ერთად, განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ ამა თუ იმ მხარის იდენტიფიკაციისათვის. შესაბამისად, ცხინვალის მხარეში, ლიახვისა და ქსნის ხეობებში დაცულ ისტორიულ მონაცემებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, რადგან სწორედ წარწერებით, საფლავებით, ტაძრებით, ციხე-კოშკებით განისაზღვრება ნებისმიერი მხარის იდენტობა, ხოლო მტერი სწორედ ამ ისტორიული მტკიცებულებების მოსპობას ცდილობდა. ამ ტერიტორიებზე ამჟამად წარწერების ნაწილი ოსი სეპარატისტების მიერაა განადგურებული. ლიახვის ხეობის ძეგლების განადგურება უკვე მაშინ იყო დაწყებული. იოსებ მეგრელიძემ ამ სიძველეთა გადასარჩენად სამთავრობო უწყებებში შეიტანა განცხადებები, რათა მთავრობას მათთვის ყურადღება მიეპყრო. თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია. 1975 წელს იოსებ მეგრელიძემ ცხინვალის გამომცემლობაში „ირისტონი“ ლიახვის ხეობის ქართული სიძველეების შესახებ დასაბეჭდად წარადგინა წიგნი, მაგრამ გამომცემლობის დირექტორმა გ. ბესაევმა სათაურის შეცვლის მოთხოვნით ნაშრომი ავტორს ფოსტით დაუბრუნა. ოსური მთავრობა, რომელსაც მხარს მაშინდელი საბჭოთა ხელისუფლება უმაგრებდა, წიგნისათვის «სამხრეთ ოსეთის მხარის სიძველეების» დარქმევას მოითხოვდა, რაზეც ავტორმა სრულიად სამართლიანად უარი განაცხადა. ამ წიგნის პირველი ნაწილი 1984 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დაბეჭდა სახელწო-

დებით „ლიახვის ხეობის სიძველეები“, მეორე ნაწილი კი იოსებ მეგრელიძის გარდაცვალების შემდეგ მისმა ვაჟმა გუბაზმა გამოსცა. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ იოსებ მეგრელიძე აქტიურად იკვლევდა ქართველთა და ოსთა კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებს, აანალიზებდა იმ მდიდარ მასალას, რაც თავისი მოგზაურობების დროს ჰქონდა დაგროვილი ფოლკლორის, ენის, მატერიალური კულტურის ისტორიის საკვლევად. შიდა ქართლის ტერიტორიაზე სამეცნიერო ექსპედიციების დროს შეაგროვა და ჩაიწერა ისტორიული გადმოცემები, თქმულებები, ზნე-ჩვეულებათა ამსახველი ეპიზოდები. ყურადღება მიაქცია ამ კუთხიდან გამოსული მწერლების შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ არსებულ და ხალხის მეხსიერებაში შემონახულ ცნობებს, ფაქტობრივად, შეაგროვა მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერი მასალა.

1959 წლიდან იოსებ მეგრელიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის, გიორგი ლეონიძის ინიციატივით ჯერ ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილებაში, ხოლო შემდეგ რუსთველოლოგიის განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად მუშაობდა. იყო ინსტიტუტის მეცნიერი კონსულტანტი, სამეცნიერო საბჭოსა და სადისერტაციო საბჭოს წევრი. იოსებ მეგრელიძე ხელმძღვანელობდა ასპირანტებს, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის მაძიებელ ქართველ და უცხოელ ახალგაზრდებს, მან ბევრ მკვლევარს შეუწყო ხელი მეცნიერული საქმიანობის წარმართვა-დაკვალიანებაში. ხშირად იყო სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა, დისერტანტთა ოპონენტი და მათი სამეცნიერო ნაშრომების ობიექტური შემფასებელი.

ცალკე უნდა გამოიყოს და აღინიშნოს იოსებ მეგრელიძის რუსთველოლოგიური მუშაობა, მან დიდი წვლილი შეიტანა ამ უძველესი ლიტერატურათმცოდნეობითი დარგის განვითარებაში. იოსებ მეგრელიძის ლენინგრადული ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში საკავშირო დონეზე გადაწყდა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლის იუბილეს გადახდა. ამიტომ 1936-1937 წლებში იგი აქტიურად მონაწილეობდა ლენინგრადში, მოსკოვში, კიევში, ერევანში,

ბაქოსა და შუა აზიის ქალაქებში ჩატარებულ საიუბილეო ღონისძიებებში, იყო შოთა რუსთველის პირველი საიუბილეო აკადემიური კომიტეტის სწავლული მდივანი. აგრეთვე, მონაწილეობდა შოთა რუსთველის დაბადებიდან 800 წლისთავის იუბილეშიც, რომელიც 1966 წელს გადაიხადა ქართველმა ერმა და რომელსაც მსოფლიო რეზონანსი ჰქონდა. ყოველივე ამან საფუძველი მოუძადა, რათა შემდგომში აქტიურად ემუშავა რუსთველოლოგიური პრობლემატიკის შესახებ და გამოექვეყნებინა რუსთველოლოგიური სამეცნიერო შრომები. აგრეთვე, 1960-1967 წლებში იყო ლიტერატურის ინსტიტუტის სერიის „რუსთველოლოგიური ძიებანი“ სწავლული მდივანი. აუცილებლად სათქმელია, რომ იოსებ მეგრელიძემ „ვეფხისტყაოსნის“ ბევრ უცხოელ მთარგმნელს გაუწია კონსულტაცია, კერძოდ, ნიკოლოზ ზაბოლოვსკის, დიმიტრი გულიას, ბორის გაპონოვს, გიორგი ბესთაუთის, ელენა ტარლოვსკაიას, ბორის ბრიკს, მანოლის მიტაფიდის, იპეი ფუკუროს, სალიხ გურტუევის, ზუბერ თხაგაზიტოვს და სხვ. მას მდიდარი ბიბლიოთეკა და საარქივო მასალა დარჩა, თავის ბიბლიოთეკაში „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი გამოცემა ჰქონდა, მათ შორის შოთა რუსთველის პოემის რამდენიმე უნიკალური გამოცემა ინახებოდა.

იოსებ მეგრელიძეს სამეცნიერო-საველე ფოლკლორული ექსპედიციების მუშაობისას შოთა რუსთველის ბიოგრაფიისა და მისი პოემის, თამარის ეპოქის შესახებ მრავალფეროვანი მდიდარი ზეპირსიტყვიერი მასალა დაუგროვდა, რაც მეცნიერული დამუშავების შემდეგ საფუძველი გახდა მონოგრაფიისა „რუსთაველი და ფოლკლორი“, რომელიც 1960 წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა. სწორედ ამ ნაშრომით წარდგა იოსებ მეგრელიძე მოსკოვში, 1961 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს, ე.წ. დაცვის საბჭოს, წინაშე და მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მონოგრაფიაში თავმოყრილი და გაანალიზებულია თქმულებები და გადმოცემები შოთა რუსთველისა და მისი პოემის შესახებ, მაგრამ მასში, ამ საკითხთა გვერდით, განხილულია პოემის სიუჟეტის ორიგინალობის საკითხი, გამოვლენილია რუსთველური აფორიზმების

კვალი ხალხურ სიტყვიერებაში, წარმოჩენილია ჯადოსნური ზღაპრის, ხალხური გადმოცემებისა და თქმულებების როლი შოთა რუსთველის პოემის სტრუქტურის, კომპოზიციის, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების განსასაზღვრად. ცოტა მოგვიანებით, 1970 წელს, გამოსცა მეორე უმნიშვნელოვანესი მონოგრაფია „რუსთველოლოგები“, რომელშიც გადმოცემული და წარმოჩენილია ვახტანგ VI-დან მოყოლებული XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისამდე ქართველი და უცხოელი მეცნიერების დამსახურება რუსთველოლოგიური პრობლემატიკის კვლევისა და შესწავლის საქმეში.

ცნობილია, რომ რუსთველოლოგია ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურათმცოდნეობითი დარგია, რომელიც უკვე სამ საუკუნეზე მეტს მოითვლის. შესაბამისად, დაგროვდა დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელთა საკმაოდ დიდი ნაწილი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. სწორედ ამიტომ განიზრახა ბატონმა იოსებმა გამოეცა რჩეული რუსთველოლოგიური ლიტერატურის ტომეულები, რომელთა მეცნიერული ღირებულება მეტად თვალსაჩინოა, რადგან მათ რუსთველოლოგიური პრობლემებით დაინტერესებულ მკვლევარებსა და კერძო პირებს მუშაობა გაუადვილა.

იოსებ მეგრელიძემ გამოაქვეყნა სამეცნიერო გამოკვლევები შოთა რუსთველის პოემის ტექსტის დადგენისა და ლექსიკის საკითხებზე. სახელდობრ, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის საკითხებიდან განიხილა „გრდემლი ტყვიისა“, „ამბავი სპარსული“, „ნათარგმანები“, „ობოლი“ (მარგალიტი), „საგოგმანები“, „გარდათქმა“, „ხელმქმნელი“, „დამართება“, „ები“, „ნები“, „მანები“ თუ „ლამაზმანები“, „კურტაკი/საკურტაკე“, „კარაბაკი/ჩაკარაბაკება“, „ჭოჭმანი/საჭოჭმანებ“, „ჭავლი წყლისა“, „ლაყფობა/ვილაყფეთანი“. თავისი მოსაზრება გამოთქვა ვეფხის რუსთველური გააზრების შესახებ, რაზეც სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. ბატონი იოსების ეს მოსაზრებები რუსთველის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი მიძღვნილმა საიუბილეო კომისიამ გაიზიარა.

იოსებ მეგრელიძემ ყურადღება მიაქცია ძველი, XIX და XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ახალგაზრდობისას გამოაქვეყნა საიათნოვას უცნობი ლექსები. ქარ-

თულ სიძველეთსაცავებში მოპოვებული მასალების საფუძველზე ცალკე წიგნებად გამოსცა ნარკვევები ჭოლა ლომთათიძის, ეგნატე ნინოშვილის, გუგუნაშვილის შესახებ. სამეცნიერო სტატიები გამოაქვეყნა ვაჟა-ფშაველას, ლევ ტოლსტოის, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, შალვა ნუცუბიძის, მოსე გოგიბერიძისა და სხვათა შესახებ. აქვე აღვნიშნავ, რომ იოსებ მეგრელიძე ხშირად მონაწილეობდა საერთაშორისო ფორუმებში, კონფერენციებში, სამეცნიერო სესიებში ჩვენშიც და საზღვარგარეთაც.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იოსებ მეგრელიძის დამსახურება წინამორბედ მეცნიერთა მემკვიდრეობის გამოცემაში. მან დიდი ამაგი დასდო ნიკო და იური მარების, იუსტინე აბულაძის, ვუკოლ ბერიძის, მოსე გოგიბერიძის, სარგის კაკაბაძის, სოლომონ იორდანიშვილის, ჯემალ ნოღაიდელის და სხვების ნაშრომების გამოქვეყნებას. ასეთი 35 კრებული აღმოჩნდა, თითოეული მათგანი დიდტანიანი წიგნია. ვისაც ამგვარი შრომები მოუშადადებია გამოსაქვეყნებლად, წარმოიდგენს, თუ რა მძიმე სამუშაო შეასრულა რედაქტორ-გამომცემელმა. მანვე გამოაქვეყნა სამეცნიერო ნაშრომები და მოგონებები ივანე ჯავახიშვილის, სანდრო ახმეტელის, ლეონ მელიქსეთ-ბეგის, ალექსანდრე სვანიძის, ივანე მეშჩანინოვის, ვიკტორ ნოზაძის, კალისტრატე სალიას, გრიგოლ ფერაძის, იარომირ იედლიჩკას, რენე ლაფონის, ჰანს ფოგტის, იოსებ ორბელიისა და სხვა გამოჩენილი პიროვნების შესახებ.

საგანგებოდ უნდა გამოიყოს იოსებ მეგრელიძის ურთიერთობა ექვთიმე თაყაიშვილთან, რომელსაც ნიკო მარის მეშვეობით დაუკავშირდა. ემიგრაციაში მყოფ ექვთიმე თაყაიშვილს ძალიან სჭირდებოდა ინფორმაცია, თუ რა წიგნები გამოდიოდა საქართველოში, ნიკო მარმა იოსებ მეგრელიძეს დაავალა წიგნების გაგზავნა. მართლაც, საკვლევად საჭირო ლიტერატურას საქართველოდან მისი ყოფილი მოწაფე იროდიონ სონღულაშვილი, მისი სიყრმის მეგობარი ნიკო მარი, მარის მოწაფე იოსებ მეგრელიძე და სხვა გაბედული მეცნიერები უგზავნიდნენ. ემიგრაციიდან დაბრუნებულ ექვთიმესთან ხშირად დადიოდა და სამეცნიერო საქმიანობაში ეხმარებოდა. ცნობილი ფაქტია, რომ ექვთიმე თაყაიშვილის დაკრძალვისას მის

ცხედარს 48 კაცი მიაცილებდა. უშიშროების თანამშრომლები ექვთიმეს სახლს არავის აკარებდნენ. მეცნიერებს უნდოდათ, რომ სამ-გლოვიარო მანქანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაეჩერებინათ. იოსებ მეგრელიძემ მძღოლს ფული მისცა და სთხოვა, უნივერსიტეტთან გაჩერებულიყო, მანქანის გაფუჭება მოემიზებებინა. მძღოლი ასეც მოიქცა. ზოგჯერ წერენ, თითქოს ეს მძღოლის გმირობა იყო, მაგრამ მან არც იცოდა, ვის მიასვენებდნენ. გაზაფხულზე საფლავზე აკაკი შანიძე და იოსებ მეგრელიძე გავიდნენ, ძლივს მიაგნეს ექვთიმეს საფლავს. გაწმინდეს, წარწერაც გააკეთეს და საფლავი გადაარჩინეს.

მოგვიანებით ექვთიმე თაყაიშვილს იოსებ მეგრელიძემ საკმაოდ დიდტანიანი მონოგრაფია მიუძღვნა, რომელშიც შესწავლილი და გამოკვლეულია საქართველოს მექურჭლეთუხუცესად წოდებული ლეგენდარული პიროვნების ცხოვრება და მოღვაწეობა (ექვთიმე თაყაიშვილი: ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი, „მეცნიერება“, 1989. 400 გვ.).

იოსებ მეგრელიძეს საქმიანი და თბილი ურთიერთობები ჰქონდა ქართველ და უცხოელ კოლეგებთან, მოღვაწეებთან, ხელოვანებთან. იოსებ მეგრელიძის მოგონებით, ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებული ბარათაშვილის პორტრეტი (რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეოდ გორის პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა უსახსოვრა) და სურათი „რუსთაველის ტურნირი“ მხატვარს მისი ინიციატივით დაუხატავს. მისივე მონათხრობის მიხედვით, მას თბილი და ახლო დამოკიდებულება ჰქონდა გალაკტიონ ტაბიძესთან, გიორგი ლეონიძესთან, უცხოელ მწერლებთან და მეცნიერებთან.

იოსებ მეგრელიძის გაბედულებას ისიც მოწმობს, რომ მან ბევრი მეცნიერის ნაშრომი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა. ცნობილი ფილოსოფოსის, კიტა მეგრელიძის წიგნი «აზროვნების სოციოლოგიური ფენომენოლოგიის საფუძვლები» გამოსაცემად მზად იყო და ლენინგრადში უნდა დაბეჭდილიყო. მაგრამ კიტა მეგრელიძე დაიჭირეს და მისი ოთახი დალუქეს. იოსებ მეგრელიძეს თანამშრომლებისთვის არაერთხელ უამბუნია, რომ კიტას ოთახში სანიაღვრე მი-

ლით ფანჯრიდან გადავიდა, ანაბეჭდები წამოიღო და ლენინის ტომის ყდაში ჩადო. ეს რომ უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს შეეტყვოთ, იოსებ მეგრელიძეს დახვრეტა არ ასცდებოდა. კიტა მეგრელიძის ეს წიგნი სამჯერ - 1965, 1973 (რუსულ ენაზე) და 1990 წლებში თბილისში გამოიცა და მეცნიერთა დიდი აღიარება მოიპოვა.

იოსებ მეგრელიძეს ძალიან კარგი ოჯახი ჰქონდა. მისი მეუღლის, ცნობილი თეატრმცოდნის, ქალბატონ ნინო შვანგირაძის სახელთანაა დაკავშირებული დიდი ქართველი რეჟისორის - სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი რეაბილიტაცია. მათმა ვაჟმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, ბატონმა გუბაზმა, ქართულ თეატრმცოდნეობაში პირველმა შეისწავლა სუკის არქივში დაცული ხელოვანთა რეპრესირების საქმეები და პირველმა მეცნიერულად გამოიკვლია რუსთაველის თეატრის XX საუკუნის 20-30-იანი წლების ისტორიის ეს სადავო პერიოდი, რითაც ნათელი მოჰფინა სანდრო ახმეტელისა და მისი მომხრე მსახიობთა ჯგუფის რეპრესირების რეალურ მოვლენებს. ასეთია ამ ოჯახის ღვაწლი ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში.

დღესდღეობით ბატონი გუბაზ მეგრელიძე და მისი მეუღლე, ფილოლოგი მაკო წოწონავა, უფროხილდებიან და, რაც მთავარია, სწავლობენ სახელოვანი მშობლების უმდიდრეს სამეცნიერო მემკვიდრეობას.

საჭიროდ მიმაჩნია ერთი ფაქტის გახსენება, რომელიც ბატონი იოსების ოჯახს უკავშირდება. 1978 წელს იოსებ მეგრელიძის ოჯახს ყაჩაღები დაესხნენ თავს და ფიროსმანის ნახატების - შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის გატაცება სცადეს. ბატონი იოსები ფიზიკურად ძლიერი იყო, სახლში შეჭრილ ორ ახალგაზრდას იარაღი წაართვა და გარეთ გაყარა. სამწუხაროდ, დამნაშავეთა დადგენა მილიციამ ვერ მოახერხა და საქმე გაუხსნელი დარჩა. ამ ფაქტის შემდეგ იოსებ მეგრელიძემ ფიროსმანის ნახატები მეგობრობის მუზეუმს გადასცა. ეს იძულება უფრო იყო, ვიდრე საკუთარი სურვილით ჩაბარება, ვინაიდან თავდასხმა შეიძლებოდა განმეორებულიყო. ამჟამად ეს ნამუშევრები მირზაანის ფიროსმანის მუზეუმში ინახება.

ბატონი იოსებ მეგრელიძე მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული მეცნიერი და ერისკაცი იყო, რომელსაც სამეცნიერო წრეები და ქართველოლოგიური პრობლემატიკით დაინტერესებული მკითხველები დღესაც იხსენებენ და მის სამეცნიერო მემკვიდრეობას ღირსეულად აფასებენ. იგი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ღრმა კვალს ტოვებენ ერის სულიერ ცხოვრებაში. იოსებ მეგრელიძემ თავისი ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, არქეოგრაფიული, კოდიკოლოგიურ-ტიქსტოლოგიური შრომებით, საგამომცემლო და რედაქტორული საქმიანობით ქართველოლოგიური მეცნიერებების წინსვლას დიდად შეუწყო ხელი.

1973 წელს „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხების“ IV ტომში გამოქვეყნდა იოსებ მეგრელიძის სამეცნიერო-პედაგოგიური შრომების ბიბლიოგრაფია, რომელიც, ცხადია, არასრულია. მეცნიერის კვლევითი საქმიანობა გრძელდებოდა სიცოცხლის ბოლომდე, სრულყოფილების მიზნით საჭირო გახდა სამეცნიერო შრომების სრული ბიბლიოგრაფიის გამოცემა, რათა მკვლევართა ინტერესი იოსებ მეგრელიძის მეცნიერული მოღვაწეობისადმი უფრო ხელშესახებად წარმოჩენილიყო. წინამდებარე ბიბლიოგრაფია მკითხველს სრულ წარმოდგენას შეუქმნის იოსებ მეგრელიძის მრავალმხრივ მეცნიერულ მემკვიდრეობაზე და დაინტერესებულ პირს გაუადვილებს მისთვის საჭირო მასალის მოძიებას.

ბატონ იოსებს დიდი და საოცრად საინტერესო პირადი სამეცნიერო არქივი დარჩა. იგი მოიცავს გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ნაშრომებს, ეპისტოლარულ მემკვიდრეობას მსოფლიოს ცნობილ ქართველოლოგებთან, ფოლკლორულ ჩანაწერებს, მოგონებებსა და სხვა საარქივო მასალებს, რომლებიც მეცნიერთა ყურადღებასა და შესწავლას მოითხოვს.

ნესტან სულავა

*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი*

Ioseb Megrelidze - an Honored Scientist

An honored scientist, PhD, professor, teacher and well-known public figure, Joseph Megrelidze was "the chronicle" of the sciences of XX century Kartvelology and a person of rich biography. He was the eye-witness of the number of Georgian philologists and historians, who had made even the slightest contribution to the scientific development of linguistics, literature, folklore and other related areas. He actively participated in scientific forums. On his initiative, lots of important activities were launched. Joseph Megrelidze wrote more than 30 monographic works, scientifically prepared and published texts, scientific articles, reviews and publicistic letters published on the issues of public problems. Ioseb Megrelidze is the author of numerous papers published on the issues of Georgian, Dagestanian and Dido languages, Rustvelology, Georgian literature, Georgian and Caucasian folklore, ethnography, archeology and epigraphy, which denotes his wide interests. All of these activities would have been impossible without his deep knowledge and thorough education. His works were published in Georgian and Russian languages and most of them were translated and published in French, Abkhazian, Armenian, Ukrainian, Adighe, Ossetian and other languages. The researcher thoroughly discussed every issue and problem. In fact, he continued the tradition of his predecessor scientists and studied the problems of Kartvelology, related to various fields of Caucasology, which had added more value to his scientific heritage.

Ioseb Megrelidze is among the 500 scientists of the world in the book, published by the American Biographical Institute. In 1992, he was denominated as the "Caucasian Patriarch" at the symposium of Caucasiologists.

Ioseb megrelidze was born on April 9, 1909, in Khidistavi (Chokhatauri region). His father, Barthlome Megrelidze was a well-known teacher

and public figure, who was the initiator of opening various schools in Adjara and Artvini regions. He had also made a considerable contribution to the foundation of Saingilo schools (Saingilo - currently part of Azerbaijan, populated by the ethnic Georgians - Ingiloi). In 1925 and 1926, he worked and founded 26 schools there. Young Ioseb Megrelidze, who was not even 18 years old, followed in his father's footsteps and had been working as a teacher for a year in Saingilo, before enrolling in the State University. His father took too much effort to promote his educational and pedagogical work.

After graduating from the Institutes in Poti and Khidistavi, Ioseb Megrelidze enrolled in Pedagogical faculty of Tbilisi State University (in the department of Linguistics and Literature). He successfully graduated from the above mentioned University and was sent to Leningrad (St. Petersburg) to continue post-graduate studies. In 1931-1935, he was a post-graduate student of the Institute of language and thoughts at the USSR Academy of Sciences. The following academicians Sergi Jikia, Shota Dzidziguri, Giorgi Tsereteli, I.Vekua, Victor Kupradze, and professors: Sergi Jghenti and Giorgi Kharatishvili studied with him in Leningrad. In the 30s of the XX century, the Georgian post-graduate students were called a new generation of the «Tergdaleulebi» (a group of Georgian students, who returned from study in Russia and began to formulate and promote a national rather than sub-national identity). Each one has made a major contribution to the development of Georgian science and scientific thoughts in general. After graduating from his post-graduate studies, Joseph Megrelidze had lived in Leningrad (Russia) for some time and continued his scientific work. In 1935-1939, he worked first as a junior and then as a senior scientist of the Institute of language and thoughts at the Academy of Sciences.

Ioseb Megreliдзе submitted his thesis on the following topic: "Laz and Mingrelian Dialects in Gurian" to obtain his candidate's degree of sciences in the field of linguistics, and defended it in 1935, in Leningrad. The relationships between Georgian and Kartvelian dialects and specific features were discussed and studied in the above mentioned paper. Scientific research has revealed that the lower Imeretian dialect is closer to the Mingrelian one, and Gurian and Adjarian dialects are closer to the Laz ones. The paper discusses their toponyms and analyzes their etymology. The researcher discussed specific linguistic issues in the following works: "Possessive Case of the Surnames with -dze Suffixes in West Georgia", "The Women's Surname Endings in South Caucasian Language and Folklore", "The Place for Continuous and Subjunctive Forms in the Series of Time of the Georgian Verbs", etc. The monograph about I. Gogebashvili's relations to the Georgian language should be pointed out: "Iakob Gogebashvili and the new Georgian language" Tb. Education, 1988, which consists of 234 pages and was published twice. An invaluable contribution of Iakob Gogebashvili, Georgian public figure and founder of the Georgian Pedagogy, to the introduction and establishment of the Georgian language in schools and public life, is fundamentally disclosed in the above mentioned paper, as the political and public life of the XIX century Georgia and the regime of the Russian Empire had affected the lives of Georgians. It should be noted that Caucasiologists and linguists appreciated Ioseb Megreliдзе's works, because he was one of the first researchers, who scientifically studied Daghestanian language groups, Dido and closely related languages. He also made a considerable contribution to the Ibero-Caucasian studies and the development of linguistics.

While studying in Leningrad, Ioseb Megreliдзе got acquainted with local scientists and postgraduates. He was closer especially to academician Niko Mari and he lived with his family for a certain period of time until his

death. He was Niko Mari's learned secretary and the relationship between the teacher and the student was very friendly. Ioseb Megrelidze expressed his great respect and love for his teacher till his death. He had worked hard to study Niko Mari's archive, arranged the unpublished materials, prepared for publication and in 1940, Niko Mari's paper - "The language History of Abkhazia" - was published. In 1940, he published a description of the Georgian Manuscripts of Sina Mountain compiled by Niko Mari during the scientific mission, but the scientist had not published it.

Ioseb Megrelidze took part in the publication of Iuri Mari's papers. At different times, their joint work - "A handbook for Authors and Type-setters of Oriental Scripts" was published four times. In 1980, Ioseb Megrelidze published Iuri Mari's, Konstantin Chaikin's and his own correspondence (275 pages) about Iranistics and Kartvelology.

After returning from Russia, Ioseb Megrelidze worked as an associate professor and head of the department of Georgian-Armenian-Azerbaijani Languages at Pushkin State Pedagogical Institute in 1939-1942. At the same time, he delivered lectures in Georgian and Russian departments of Gori, Tskhinvali and Sukhumi Pedagogical Institutes. Obviously, such an intensive scientific and educational work needed a great effort. It was not easy to travel from the capital to other cities of Georgia to give lectures, but his loyalty and love of the country, thirst for teaching and training young scientists facilitated his hard life. Despite such a devoted work, Ioseb Megrelidze and other well-known figures - Mose Gogiberidze and Mikheil Zandukeli were exiled to Kazakhstan in 1942-1947, according the decision and decree of Moscow's Special meeting («Особое совещание»). They were in "free exile" there. Ioseb Megrelidze worked as an inspector of the department of education in Chkalov district. He also taught the Russian language, geography, history and the Constitution of the USSR. In 1947, he returned to Georgia and re-started the scientific and pedagogical work in

Gori, Tskhinvali, Sukhumi and Tbilisi pedagogical Institutes. He was also a lecturer of the Georgian Shota Rustaveli Theatre Institute.

Ioseb Megrelidze was a versatile scientist and public figure. The interests of the country were above everything for him. He was the fighter for national interests and soul of the country and he had proved it not once. During mound excavations in Dagestan, in 1939, he discovered 50 bronze figures of BC.IV-III millennium. The government of Daghestan wanted to leave them in Daghestan, as they were discovered there; Leningrad also demanded them, as they financed the expedition. Ioseb Megrelidze handed the items, the exhibits of Georgian culture, to Historical and Ethnographic Museum of Gori.

After returning from exile, since 1948 Ioseb Megrelidze had looked for the Liakhvi gorge antiquities. At that time, the monuments and graves had no Ossetian inscriptions. All the inscriptions were Georgian. In general, it should be noted that the inscriptions and graves, fortified city infrastructures along with the churches are granted with enormous importance for the identification of this or that areas. Accordingly, the historical data preserved in Tskhinvali region, Liakhvi and Ksani gorges are of great importance, because the inscriptions, graves, temples and castles define the identity of any region. And the enemy tried to destroy exactly this historical evidence. In these areas, part of the inscriptions was ravaged by Ossetian separatists. The monuments of Liakhvi were destroyed at the same time. Ioseb Megrelidze submitted his statement to the government Institutions to save the antiquities to attract their attention. In 1975, Ioseb Megrelidze submitted a book about the Georgian antiquities of Liakhvi gorge to the publishing house "Iristoni". But the director of the publishing house, G.Basaev returned the book to the author to change the title. Ossetian government that was supported by the Soviet government, demanded to rename the book and give it the following title: "South Ossetian Antiquities", but the author refused to do it, which was fair enough. The

first part of this book was published in 1984 by the publishing house "Georgia" under the title - "Liakhvi Gorge Antiquities". The second part was published by Megrelidze's son Gubaz, after the death of Ioseb Megrelidze. In general, it should be noted that Ioseb Megrelidze researched cultural and historical relations between Georgians and Ossetians, analyzed rich materials, which he had gathered during his travels for studying folklore, language, material culture and history. During his scientific expeditions in Shida Kartli region, he collected and recorded historical narratives, stories, episodes depicting customs and manners. He paid attention to the data regarding the works of local writers memorized by people. In fact, he collected a variety of verbal material.

Since 1959, Ioseb Megrelidze had first worked in the department of old Georgian literature, and then, as a senior scientist in the department of Rustvelology, on the initiative of Giorgi Leonidze, director of Shota Rustaveli Georgian Literature Institute at the Georgian Academy of Sciences. He was also a scientist consultant of the Institute, and the member of Scientific and Dissertation Councils. Ioseb Megrelidze guided postgraduates, Georgian and foreign students, who were seeking candidate's and doctoral degrees. He helped many young researchers to conduct scientific activities. He was an opponent of those postgraduates and at the same time objective evaluator of their scientific papers.

Ioseb Megrelidze's works in Rustvelology should be separately emphasized. He made a considerable contribution to the development of the field of ancient literature. During Ioseb Megrelidze's life and work in Leningrad, it was decided to celebrate the 750th year anniversary of the creation of "The Knight in the Panther's Skin". He actively participated in the anniversary events in Leningrad, Moscow, Kiev, Yerevan, Baku and Central Asian cities, in 1936-1937. He was a Scientific Secretary of Shota Rustaveli first Academic Committee; he actively participated in the 800th anniversary of the birth of Shota Rustaveli, which was celebrated by the

Georgian people in 1966. It had a great resonance worldwide. This has prepared the basis for him to actively work on the problems of Rustvelology and publish scientific works. In 1960-1967, he was a Scientific Secretary of the Institute of literature series "Rustaveli Researches". It should be especially noted that Ioseb Megrelidze gave consultations to many foreign translators, in particular, Nikoloz Zabolotski, Dimitri Gulia, Boris Gaponov, Georgi Bestauti, Elena Tarlovskaja, Boris Bric, Manoli Mitapidi, Ipei Phukuro, Salikh Gurtuev, Zuber Tkhangazitov and others. There are rich library and archival materials in his library, he had various publications of "The Knight in the Panther's Skin", including several unique editions of Shota Rustaveli's poem.

During the scientific field-expeditions, Ioseb Megrelidze gathered diverse and rich verbal materials about the biography and poem of Shota Rustaveli and the period of Tamar the Great (the Queen of Georgia). The materials were scientifically studied and consequently, the monograph - "Rustaveli and Folklore" was published in 1960, in English and Russian languages. In 1961, Ioseb Megrelidze presented this work to the Council of the Institute of Asian People (the so-called Security Council) at the USSR Academy of Sciences and gained a PhD degree. Stories and legends on Shota Rustaveli and his poem are collected and analyzed in the monograph, but the question of the poem's originality is discussed beside other issues; traces of Rustaveli's poetic aphorisms are revealed in folk-lore; The roles of magical tale, folk traditions and legends are specified for determining the structure, composition, artistic and expressive means of Shota Rustaveli's poem. Later, in 1970, he published the second most important monograph - "Rustvelologists", which displays the merits of Georgian and foreign scientists in research and study of the problems of Rustaveli from the period of Vakhtang the sixth to the early 70s of the XXth century.

It is known that Rustvelology is one of the oldest fields in the study of literature, which is more than three centuries old. Accordingly, a large

amount of scientific literature has been collected. Most of them belong to bibliographical rarity. That is why Ioseb Megrelidze decided to publish so many volumes of books in Rustvelology. Their scientific value is obvious, as they have facilitated the works of researchers and individuals, who were interested in the problems of Rustvelology.

Ioseb Megrelidze published scientific studies on the issues of defining the text and vocabulary of Shota Rustaveli's poem. In particular, he discussed the following vocabulary: an Anvil of Soft Lead, Persian tale, translated, a rare and exquisite pearl, rolled on the palm of the hand, (გარდათქმა, ხელმქმნელი, დამართება, ები, ნები, მანები თუ ლამაზმანები, კურტაკი/საკურტაკე, კარბაკი/ჩაკარბაკება, ჭოჭმანი/საჭოჭმანები, ჭავლი წყლისა, ლაყვობა/ვილაყვეთ) etc. He expressed his opinion about the panther's poetic understanding, as there are different considerations with regard to the above mentioned issue in scientific literature. Ioseb Megrelidze's opinion was accepted by the Commission of the 800th anniversary of Shota Rustaveli.

Ioseb Megrelidze paid attention to the old literary heritage of Georgian writers of the XIX and XX centuries. When he was young, he published unknown poems of Saiatnova (poet and singer). He also published essays as separate books on the basis of materials discovered in the old Georgian depositories. The books were related to the following writers, poets and public figures: Chola Lomtadze, Egnate Ninoshvili and the Gugunavas. He published scientific articles about Vazha-Pshavela, Lev Tolstoy, Mikheil Javakhishvili, Galaktion Tabidze, Giorgi Leonidze, Shalva Nutsubidze and others. Moreover, Ioseb Megrelidze often participated in international forums, conferences and scientific sessions in our country and abroad.

Ioseb Megrelidze's merits with regard to the publication of his predecessors' heritage should be especially noted. He made a considerable contribution to the publication of scientific works of Iustin Abuladze, Vukol Beridze, Mose Gogiberidze, Sargis Kakabadze, Solomon Iordani-

shvili, Jemal Nogaideli and others. Such collections turned out to be 35. Each of them has hard-covers. Those, who have prepared such works for publication, can imagine how hard the editor worked. He has published scientific papers and memories about the following prominent people: Sandro Akhmeteli, Leon Melikset-Beg, Alexandre Svanidze, Ivane Meshchaninov, Victor Nozadze, Kalistrate Salia, Grigol Peradze, Iaromir Iedlichka, Rene Laponi, Hans Vogt, Ioseb Orbeli and others.

Ioseb Megrelidze's relationship with Ekvtime Takaishvili should be specially emphasized. He got in contact with him through Niko Mari. Emigrated Ekvtime Takaishvili was in an acute need of information, in particular, what books were published in Georgia and Niko Mari demanded Ioseb Megrelidze to send books. His former student Irodion Songulashvili, his old friend Niko Mari and Ioseb Megrelidze, who was Niko Mari's student, and other scientists often sent books to him for his research. Ioseb Megrelidze used to visit Ekvtime Takaishvili to help him in his scientific activity. It's a well-known fact that only 48 people carried the deceased body of Ekvtime Takaishvili. The Security members did not let anyone to get close to his house. The scientists wanted to stop a funeral car at the University. Ioseb Megrelidze gave money to the driver and asked him to stop the car. The driver stopped the car. They say that it was the driver's braveness, but he did not even know, whom they were carrying. In spring, Akaki Shanidze and Ioseb Megrelidze went to Ekvtime Takaishvili's grave, but they barely found it. They cleaned, wrote inscriptions and it can be said that they rescued his tomb.

Later, Ioseb Megrelidze dedicated a hard-cover monograph to Ekvtime Takaishvili, which describes the life and activities of a legendary person, the so-called Treasurer of Georgia (Ekvtime Takaishvili: Life and Activities, Tbilisi, "Science", 1989. 400 pp.).

Ioseb Megrelidze had warm business relationships with local and foreign colleagues, public figures and artists. As Ioseb Megrelidze recalled,

the portrait of Baratashvili, painted by Lado Gudiashvili, was given as a present to Tbilisi State University by Gori Pedagogical University. "Rustaveli Tournament" was painted on Megrelidze's initiative. According to his narrative, he had warm and close relationships with Galaktion Tabidze, Giorgi Leonidze, foreign writers and scientists.

Ioseb Megrelidze's courage is testified by the facts that he had saved many scientists' works by risking his own life. Kita Megrelidze's (a famous philosopher) book - "Fundamentals of Sociological Phenomenology of Thinking" was ready for publication and should have been published in Leningrad. But Kita Megrelidze was arrested and his room was sealed. Ioseb Megrelidze had told his friends that he penetrated into Kita Megrelidze's room through the window from the drain pipe, took the imprints and put them into the cover of the book of Lenin. If the security service officials had known about this fact, they would have shot him.

Ioseb Megrelidze had a good family. His wife, a well-known theater critic, Nino Shvangiradze made a remarkable contribution to the creative rehabilitation of the Georgian producer, director Sandro Akhmeteli. Her son, Doctor of Arts, Gubaz Megrelidze was the first to examine the cases of repressed artists in KGB (Committee for State Security) archives and changed this controversial period of the XX century 20-30s in the history of Rustaveli theatre.

Nowadays, Gubaz Megrelidze and his wife, Mako Tsotsonava, philologist - cherish, study and take care of the richest scientific heritage of their famous parents.

I consider it necessary to recall the fact that is connected to Ioseb Megrelidze's family. In 1978, the robbers attacked his family and tried to abduct Pirosmiani's paintings. Mr. Joseph was physically strong. He seized them and threw them out. The police intervened in the case, but they did not or could not identify the robbers. After that fact, Ioseb Megrelidze

handed the paintings to the museum. But he had done this under compulsion, because the attack could have happened again.

Ioseb Megrelidze was distinguished with a high level of professionalism. He was also an outstanding scientist. Other scientists and readers, interested in the problems of Kartvelology still remember, cherish and value his scientific legacy. He belonged to the number of people, who leave deep traces in the spiritual life of a nation. With his linguistic, literary, Archeographic, Codicological-textual works, publishing and editorial activities, Ioseb Megrelidze made a remarkable contribution to the advancement of Kartvelology.

In 1973, the bibliographies of Megrelidze's scientific and pedagogical works were published in the IVth volume of "The Issues of Old Georgian literature and Rustvelology", which is incomplete. The scientist's research activities were continued until the end of his life. It was necessary to publish the complete bibliography of his scientific works to display the interests of researchers clearly towards Ioseb Megrelidze's scientific activity. The above mentioned bibliography will give the readers a full concept about Ioseb Megrelidze's multilateral scientific heritage and make it easier for them to retrieve necessary materials.

Ioseb Megrelidze left enormous and interesting personal scientific archive that includes published and unpublished works, epistolary heritage of famous Kartvelologists in the world, folk records, memoirs and other archival materials, which need special study and attention of scientists.

Nestan Sulava

Doctor of Philology
Professor